

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
დადგენილება #29

2015 წლის 25 სექტემბერი

ქ. თბილისი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის საქვეუწყებო
დაწესებულება - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოს შექმნის შესახებ

მუხლი 1. „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონის, „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის კანონის მე-14¹ მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის გამგებლობაში შეიქმნას საქვეუწყებო დაწესებულება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველო“.

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტმა (ი. კოპალიანი) 1 კვირის ვადაში უზრუნველყოს საქვეუწყებო დაწესებულება - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოს დებულებისა და სტრუქტურის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში დასამტკიცებლად წარმოდგენა.

3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (მ. ფარფალია) 1 კვირის ვადაში უზრუნველყოს „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2015 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის წარმოდგენა შესაბამისი ცვლილებებით.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ვახტანგ ყოლბაია